

030608

1882

№ II. ფებრვალი.

თბილისი.

ქადაგი სენატის სტამბა.

1882

შინაგანი:

| | |
|---|----|
| I დაცით ზურაბიშვილი და ომარი ლეო (დასახ- რელი) თ. ჟორჯისისი | 3 |
| II ხალხური ლექსები (ქართლში გავრცილი) | 39 |
| III თავზედ ხელ-ალებული ა. ტურგენევის (თარ გმანი). ა. ტურგენევი | 41 |
| IV დედოფალი, დექსი ვ. ა. ს. | 72 |
| V ნახული და გავრცილი (მგრივრის შენიშვნები) . | 77 |
| VI ლექსი ჭ-სი. | 91 |
| VII შინაური მინისილეა. | |

II

ეროვნული მნიშვნელობა დედა ენის და ლიტერატურის
უძრავლისა. — უნუგეშო მდგომარეობა ამ საქმისა საერთ
სასწავლებლებში. — მეცნის-მეცნი მცირე რიცხვი ქართულის
ენის გაკვეთილებისა. — ამ ენის ძასწავლებლების მეცნის-მეცნი
უცარგისობა. — რა და როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს? —
ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებში ადგილობრივ ენათავან მარ-
ცო ქართული უნდა იქმნას გალუჯული. — სამღვდელოება
და ერთ. — ეროვნულის პრინციპის უარ-უოფა ჩვენს სასუ-
ლიოერო სასწავლებლებსა და სემინარიაში. — ვინ არის ამა-
ში დამნაშავე? — უცარგისობა სამღვდელოებისა. — ამ საქმეს
როგორდა უნდა ეშველოს? — მარჯვე დრო სასულიერო
სასწავლებლების და სემინარიის პროგრამის უცვლისა-
თვის — მიმართვა ქუთაისის სამღვდელოებისაჯმი II: ეროვ-
ნულის პრინციპის და ეკონომიკურის აღორძინების ერთშან

ივერია

საკოლეგიონ და სალიტერატურო
შურნალი.

6006

წელიწადი მეექვსე.

№ II



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის საკამა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

1882



Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Февраля 1882 г.

დავით გურამიშვილი და მისი დრო

(დასასრული *).

სიბერის უამი დავით გურამიშვილისა.

გურამიშვილმა გურამის პოლევი დასტორა მხრიდან მაშინ, როდესაც სიბერემ უსწრო და სამსახურის ტვირთის ზიდვა ადარ შექმნა. ეს მოხდა ჩვენის აზრით 1769—1774 წლებ შეა. მაშისადამე ამ დროს პოლევი სამოც წელს კრგა გადასული უნდა ყოფილიყო.

ამ დროიდამ პოლევი აუშვითავად სცხოვრობდა თავის მამულში, მცირე-ოუსეთში, ღირებულებურაში და ოჯახობაში გართული. ამ დროის მის ღირებულებურულ საწარმოებს ეკუთვნის მრავალი ლექსი, მაგ. «სიგვარელის და კაცის შეღაშარებებს და ცილობს», «კაცისა და საწუთოსაგან ცილობა და ბჭობა» (ორივ გძელი ლექსია). ამ დროსევე დაწერილია ბევრი წერილი ლექსი, რომელიც დაწერილია 294 გვერდიდან წიგნის ბოლომდის (სახელდობრი: «ადამია საჩივანი», «მეოთხე დავითის შესხმა», «ამ წიგნია გამღერესავის გვარის და სახელის გამოცხადება», «ანდერძა დავით გურამიშვილისა», «პლვდელთ გედრება დავით გურამიშვილისა», «საფლავის ქვაზე დაწერი-

*) «ივერია» № 1, 1882 წ.

ლი», «სულის ამბავი», «ამ წიგნის გამღექსავის სულის მოს-სენება».) ამ უკანასკნელს დექსში, რომელიც უპტენი გვიან დაწერილია, როგორც თვითონ შინაარსიდა: მა სჩენს, შემდეგი შენიშვნა არის ჩართული აკტორისავან:

«კოქი წელს ათას-შეიდას სამოც-და-თორმეტსა,

თვესა ნოემბერსა, ოც-და-ცხრისას გასულსა.»

მაშესადამე გურამიშვილს 1774 წლიდამ გალამი დაუდ-გია და მწერლობის ასპარეზიდგან ჩამომდგარა. იმავ წელი-წადს (1774 წ.) არის დაწერილი ჯრეთვე გრძელი ლექსი: «გაცისა და საწუთოლასაგან ცილობა და ბჭობა», როგორც ესა სჩენს თვით ლექსის შინაარსისავან (ის. გვ. 162). ამ დროსკე უნდა ეპუთხნოდეს ლექსიები: «საწუთოს სოფლისა-გამო-ტიტილი», ას, 66 და 80 სიმღერები.

აქედამ სჩენს, რომ პოეტი 1774 მოცლილი ეოფილა, შექმნებია, სრულად თავი მიეცა მწერლობისათვის და ამი-ტომ ჩვენ კურიქობთ, რომ იგი სამსახურიდამ გამოვიდა ამ 1774 წელს, ას ამის წინა წელიწადს და კერძო, მოსკენებულ ცხოვრებას მიეცა.

გურამიშვილის უკანასკნელ დოსტანს დაწერილ ლექსებს ცხა-დად დამჩნევია და გრძელ ჩანაწერილი მათში რო-გვარი, ძლიერი, მძიმე გრძნობასი პოეტისა: გრძნობა სულიერის რბლობისა, მყმენვარება სიბერის მოახლოვებაზე და მაშელის სუბდა, სკვა-და ძლიერი, სულთა-მსუთავი.

პირველი გრძნობა, გრძნობა სულიერის ღბლობისა, რო-მელიც პოეტს ეწერა უკანასკნელს ეამს და სტანდაცდა მოთელს მისს არსებას, წარმოადგა იმის გ. მო, რომ პოეტი მარტო-მარტო დარჩა ამ დოსტანს; მოძმენი და ამხსოვნი, რომელთა-თანაც მისი თავ-გარდასავალი სიურმიდგანკე შეკრთებული იყო,

რომელთანაც ერთად მან გახსტანა უკეთესი წევთნი იავის სი-
ცოცხლისა, რომელიც შასთან მას ურჩებდენ, ჭირია და ლსის
შეა უკოვდენ,— ეს მოძმენი ესლა თითქმის სრულდად შემო-
ცალსენ პოეტს, თითქმის უკეთასი სიკვდილმა და დროთა პრენ-
გამ წარიტაცია; მათგან ესლა დარჩა ჩეენი პოეტი მარტოთ-
შარტო უცხო ქვეყანაში, მოწყვეტილი სამსობლო მხარეს, თა-
ვის სალის, ნათესაობას: «საწუთოის და კაცის ბჭიობაშია პო-
ეტი ჰუკედრის საწუთოს:

«მაგრესებ ფერად საცმელთა, ოქროსა, ვერცხლის ღილებსა *),
ამ დაგდგომია თვალები, შეუძინა მღილებსა...

„ სულ დამიხოცე მოყვასნი, ერთიც არ დაღინდილებსა: „

არა თუ ტოლ-ამხანაგობა, თვით ბატონიშვილი ბეჭიოც
ამ დროს ადარ იყო ცოცხალი: თვის სიცოცხლეში ის იყო
პატრიარქ ქართველობისა და მის სიკვდილს მძიმე შთაბეჭდილე-
ბი უნდა დაეძადა გახსაუთოებით პოეტის სულში, რომელიც
ღრმად პატივია სცემდა განათლებულს მეზის შვილს მისთვის
მზრუნველს, მეპატრიარქეს.

მეზის შვილი ბაქან მაიცვდა ლესეთში 1750 წელს,
გგონებ ზაფხულში, (БуТк. II, 114; III, 87). არ იქნება ური-
გო, რამოდენიმე ცნობები ჩავუართოთ აქ ამ შესანიშნავს პირ-
ზე და მის შთამომავლების ბედზე, რადგან ამ ცნობებს თუმ-
ცა პირდაპირი კავშირი არა აქვთ დ. გურამიშვილის ცხოვრე-
ბასთან, მაგრამ აშენდა გვისარგვნ თვალზე იმ დროს ვითა-
რებას და იმ აურიცხველ ინტრიგებს, რომელთაც საუბედუ-
ლოდ იმოქმედეს საქართველოზე და მის საუკეთესო შვილების

*) აქ პოეტი გუსტავის კანთ-საცმელ ფორმაზე ამბობს.

ხედზედაც. დამტკიცება არ ეჭირვება, ორმ მამულის ბედის უქულმართობას დიდი გაკლენა ჭრონდა თვით გურამიშვილის პოეზიაზედაც.

მეზე ვახტანგის უფროსი შვილი ბაქარ დაიბადა 1700 წ. (Бутк. I. 504; ისტორია სამხრეთ საქართველოს და კავკასიის მიმმართ გამო ტახტი და ჭყარგა, ბაქარ მართავდა ქართლის სამეფოს ხუთ წელიწადს, სანამ თითონაც განდევნილ არ იქმნა ასმალოსაგან, რომელთაც ქართლის ტახტი მისცეს ვახტანგის ძმას, იქსეს, გამოჩენილ ანტონ ქაიალიკოზის ძმას (Бутк. იქნე). (აქ უნდა შეკიშხოთ, რომ ბუგტოვის ზემოსაენ ნებული ასრი, რომ ბაქარ ვახტანგის შემდეგ ხუთ წელს მართავდა ქართლის სამეფოს ძალის საეჭვო არას, რადგან ერთ-თავის შანშეს წერილიდგინ ვახტანგთან სხანს, რომ ბაქარი თავის მამასთან იყო 1724 წლის დამდევს. ცერე. სამხრეთ კავკასიაში ცერე. გვ. 173—174; 162—163). რესეთში ჩამოსული ბაქარ მამასთან იყო მოსევოვნი და მისსავე სიცოცხლეში მიღო ჩინი აოტილერიის გენერალ-ლეიტენანტობისა (1729 წ. 30 ნოემბერს ბუთკ. I. 66. არა მისგან ვაწვრთნები კაცები, სპარსეთში ვარდასულნი, ასწაულიდენ შავი ნაჟირის ჯარს ზარბაზნის სროლას, უკმბარების და ზარბაზნების ჩამოსსმას (Бутკ. I. 221; 1743 წ.). საუკუთარს ვამაგირს გარდა, ბაქარს დიდ-ძალი მამული ჭრონდა მამასთან ერთად ნიშაბროლდის გუბერნიაში, სოფ. ლისკოვში 1215 სული გლეხი ჭრონდა, რომ სოფ. ტერიუმეებში 502 სული და სოფ. ვატუნოვში 1179 სული (Бутკ. I. 432, 67.). ბაქარ მდიდრულად სცოვაში მოვისენია, ვახტანგი და უფროსი უმა მეფის ვახ-

ტანგისა, სკიმონ. ეს უკანასკნელი ოთხის წავიდა რუსეთს, ას ვიცით, მაგრამ 1738 წელს კი რუსეთში იყო (Пол. Собр. Зак. т. X № 7628). ერთს ვახტანგ მეფის ნაქონს ხელ-ნაწერ წიგნზე წარწერილიდამ სჩინს, (ეს წიგნი თ. დ. თანა-დიანის კუთვნილებას შეადგენდა), ოთმ მეფე ვახტანგმა თვით გამოიხმო მმა თვითი სკიმონ რუსეთში, თუმცა მოსსენებულ ლექსთ-წარწერილის აზრი ძალიან ბნელია და თვით წარწერილი ძალიან მქრქალი. ამ განათლებულის მეფის თვალსრიცხვი (ვახ-ტანგ, მისი შვილები ბაქარ და ვახუშტი, მისი მმა სკიმონ), თანადახმარებით რამოდენიმე სასულიერო და საერთო პირთა, დასდგეს ის ღვაწლი საქართველოს, ომელზედაც ჩვენ მო-კისენიეთ წინა წერილებში (ისტორიული მატიანე, გეოგრა-ფია საქართველოსი, კანონები და სხვა სისარგებლო საკულ-ტო და საერთო წიგნების გამოცემა ისტორიული გამოცემა იზობ. ერთობ. გრუ. стр. 6; 86). ოთხესაც ამ სწავლულ და მოღვაწე საზოგადოებას უმთავრესი ძალები მოსწერდა, მეფე ვახტანგ მოკვდა, ბაქარმა და ვახუშტმა განაგრძეს დაწყებული შრომა, ბაქარმა გამართა ჭართული სტამბა თავის სახლში, სოფ. ვასესგიარესებში, მოს-კის ახლო, 1740 (თუ ცოტა ადრე ან ცოტა გვიან) და და-იწყო წიგნების ბეჭდვა. ამ სტამბაში პირველად დაიბეჭდა გას-წორებული სრული დაბადების წიგნი, ოთხის გამოცემას მო-უნდა დიდი შრომა, დრო და სარჯო. ბეჭდვა ვათავდა 1743 წელს. დაბადების წიგნის გარდა სხვა ბეჭდი საკულტო წიგ-ნებიც დაიბეჭდა ამ სტამბაში (Ист. აზონ. Гр. стр. 61—64 და 86. Бут. I, 506 მც. 4 III, 78). იმ სტამბაშივე საქართველოდ-გან განდევნილმა ჭარალიკოსმა ანტონმა, დაბეჭდა მრავალი სა-კულტო და საერთო ჭართული წიგნი (1756—1761 წლებში). ამ დროიდამ ბაქარ დროთა-გარემოებისა გამო, ნებით,

თუ უნებლივით, გარეულ იქმნა მაშინდელ პოლიტიკურ საქმეებს ში. მას შემდეგ, რაც ოსმალოს ჯარი გარებებს საჭაროულოდა და ქართველთ მოთავეთ სადაც შეჭირ გული მოიგეს, საკართველოს ბედი თანა და თან შეიცვალა. ოსმალოსაგან დაფარით მოკლელი კოსტანტინე ქახეთის მეფის ტახტი მიღიღო თეიმურაზ მეფემ (უმცროსმა მისმა მმამ); თეიმურაზმა შეირთო ცოლად კასტანგ მეფის ჭალი თამარ და ამ კავშირით უნდოდა თავის სელ-ჭვეშაბაკეთი და ქართლი შეურთებისას. თეიმურაზს მაღავ მოკესტო სიჭირი შეიღი ირაკლი II და მის შემწერბით მრავალჯერ სძლია ოსმალოსა და დეკსა. მათის ძლიერებას შეემ ქართლ-კახეთის შეერთების დღე გალო იყო მაგრამ ეს შეერთება უკეთასთვის არ იყო სასურველი. რესკომი, კასტანგის გვარულობას ეს არ მოსწონდა. სწორებდ დოდოს, როდესაც თეიმურაზმა მაგრად მოჭედდა ხელი ქართლ-კახეთის შეერთებას, ბაქარ გამოგზავნიდ იქმნა რესის მთავრობისაგან ყიზლიარში, როგორც ქართლის ტახტის მემკვიდრე.» (БУТК. I. 224; 513). ყაბარდოს სალხის დათან-სმებით და შემწერბით (ბაქარის დედა რესკომი ყაბარდოელის მთავრის ქალი იყო) ბაქარს უნდა შეემარა ხელი თეიმურაზი-სათვის. (БУТК. I. 528; 11 მასს 1743 წ.). მართლაც გაიგეს თუ არა ეს ქართლში, ერისთავნი და ამიღალევანი წინააღმდეგონი გაუხდეს თეიმურაზს და თვით თამარმაც ამიღასვანით მანქანების მიყელდით, თუ სხვა რამ გავლენის ძალით, — წინააღმდეგობა გაუწია თავის ქმარს ქართლ-კახეთის შეერთებაზე; შეჭარა ქართლში თავად-აზნაურობა; უმოგრესის მათგანნი (ამიღასვანი) დაიყოდა და თავის-თვიდ ქართლის მმართველი და გამოზრხადა, კიდო მეტი რესკომითიდგან დაბრუნდებოდნენ. მისი ქმარიც და შეიღი კრესტი (კრესტი). ქართლის გამგე-

ასაში ყოფელ-გარ გავლენას მოქლებულნა უნდა უზიღვევნენ (Бутк. I. 228—230). ეს მოხდა 1744 თუ 1745 წელს, იმ დროს, როდესაც ბაქაც საქართველოს სახლოვეს (ყაბარდობი) იმუროვდოდა (Бутк. I. 230; 528).

ქსერის წინააღმდეგ რაბით კანონის სეპულმა თეიმურაზმა დევნის დაუწეო ამ უწესობის მოთვეუთ — ამილახვრებს და ერის-თვების! შანშე (ქრისტიან და ქართველი ხადირ-შაშს წარუდ-გინა, რომელმაც, ვკონებ, თვალებით დაათხრევინა. ამილახვრე-ბი აჭანედენ, შეიარაღდენ, თოთქმის მოქლებ ქართლი დაიჭი-ოუს და რესერვში ბაქაცს და მისს გვაროვნებას შეუთვალეს მოსულიერების საქართველოში (Бутк. I, 229). მაგრამ ბაქაც, თუმცა საქართველოს სამზღვარზე ადგა, არ მოვიდა ქართლში, არ ვიცით რა მიზეზისა გამო. ალბად კარგს რომ მოქლე-და, რადგან თეიმურაზის მსარე უკირა თვით ხადირ-შაშს. ამ უქანასკნელმა თეიმურაზს მართლა კვიმლებისა და კარი კვანეუ-ბულო დასამშვიდებლად (შაში მაღლახერი იურ თეიმურაზისა და ირჩელისა ასმალოს განძევებისათვის საქართველოდგან (Бутк. I, 228). მაშინ ამილახვრანია მოიწვიეს ასმალოს ჭარი სად შეკედ და გარდასცეს მათ რეისის ციხე. რსმალოს ჭარმა ფუ-ლები გაგზვნა დაღისტანში ლევების დასაჭიროვებლად; მაგრამ ირკევლი დაეცა მმ ცხენოსნის ჭარს არაგრძელ პირზე, დაამარცხე, დასტევებენა და ასმალოს ხაზინა წარადგა (Бутк. I, 228, 230). თეიმურაზმა დაუჭირა გორის ციხე და მიადგა სურამის ციხეს, რომელიც ამილახვრების უკირა ასმალოს გრძელისა და მარტინის უნდა დამ-შვიდებულოვენენ. ქართლის მეზედ შინოც აღთარებულ იქმნა თავ მარ, მეუღლე თეიმურაზისა (1744—1745 წ.). გთვა ამილა-ხ-ვრაი და ქართლი შაშის გაუგზავნა თეიმურაზმა სპარსეთში, სა-

დაც ის იმყოფებოდა მთელი წელიწელი, თამარის სიკვდილამდის. სიკვდილის წინ თამარმა ქართლის თავად-აზნაურობა დააკვერა, რომ ქართლის ტახტი მის ქმრისთვის მიეცათ. ამ გრანად თემიურაზე გასდა ქართლის მეფედ და ირაკლი შავისაგან კასეთის მეფედ აღიარებულ იქმნა. საქართველოში კასტანგის ტომისა იუო მსოფლოდ აბდულ-ბეგი, იუსე მეფის შვილი, რომელსაც თემიურაზმა უბომა სომხეთის უფროსობა (Бутк. I, 230). ბაქარ სამზღვრიდამ ისევ მოსკოვში დაბრუნდა და საქართველოს ერთობის ბერზე შეერიდი შავი ღრუბელი, სასისარულოდ, განდძნა, შინაური განხეთქილება და უწესოება მოისპო.

ამას უქმდება ბაქარს დიდ ხასს არ უცოცხებდა; ის მოგვდა, როგორც მოვიხსენიეთ, 1750 წელს; დასტოკა დიდ-მაღალი გადი (35 ათასი მან.) საზინისა (Бутк. I. 432). და შვილები ალექსანდრე (რომელსაც ცოლად ჰყავდა რუსის ქალი მენშჩიკოვისა) და ღეონ. ღეონს ჰყავდა შვილი იაკობ და ალექსანდრეს — ალექსანდრე. კახუმტმა, ბაქარის მმამ, კარგა სახს იცოცხება მმას სიკვდილის შექმდება. სიკვდილის დრო მისი არ გიცით, მაგრამ შეგვიძლიან დაახლოებებით გსთვეთ, რომ ის მოგვდა 1780—1785 წლებშეს, რადგან მის ქალს დარიას, კასუმტის სიკვდილის გამო 1500 მანეთი პენსია დაუნაშა 15 სკოდ. 1785 წლიდგინ მთავრობის განკარგულებით. ეს ფული არის ის ჯამაგირა, რომელიც თვით კახუმტის ემზეოდა თავის სიცოცხებულები (Переп. Груз. Цар. съ Русл. Госуд. стр. 220—221). კახუმტის დარჩა მკილებია იკანკე, ნიკოლოზ, ანნა, მარიამ, ალექსანდრა (Бутк. I. 500).

ბაქარ ბატონიშვილის საქართველოს საზღვრებისაგან უკუმცევით საქართველოს ერთობის ბერზე ასცილდა სამიხელი ჭი-

რი შინაურის განხეთქილებისა. მაგრამ სრული ერთობა ქართლ-კახეთისა მაიც არ იქმნა მიღწეული, რადგან მამა და შვილი თანივ მეფობდენ, ერთი ქართლში, მეორე კახეთში. ერებულე თავის მამაზე უფრო შორის მცველეობული იყო, სცდილობდა და ემუარებინა სრული ერთობა. ამის გამო მამასთან უთანხმობა მოუვიდა, რომელიც მით გათავდა, რომ თეიმურაზ იმულებუ. და შეიქმნა რუსეთში წასულიყო, სადაც იმან იჩივლა თავის შვილზე რუსეთის მეფე ელისაბედთან. 1760 წ. (Бут. I. 241). შეტერბურღილებული და ბრუნებული მეშვი თეიმურაზ გარდაიცვალა გზაზე ასტრახანში 8 იანვარს 1762 წ. და დაიმარსა იქ, სა-დაც მარსია გვამი მისის სიმამრის გასტანგ VI მეფისა (Бут. I. 241. III. 101). ა) დროიდგან ირაკლი გამეფდა ქართლში და ეს ორი მხარე—საქართველოს გული, იქნას მდის ჭანმა-რებული, ისევ შეერთდა, განცალკეულებული მომენი ისევ შეიყარნენ. გედგან იწევდა საქართველოს ბედის აღდგენა. საკ-გარელი გმირი, გამჭრდასი მმართველი, მოუსკენარი მშრო-მელი მეტე ერებულე აშის შემდეგ ლომივით ებრძოდა მტერსა, აწესებდა, აწეობდა შინაურს საქმებს, გასაგებდა. ბრძნულებული და უღალავად სალსის ბედს, ზრუნავდა მის შინაურ ბედის ერე-ბისათვის. ცოტას სხობით მან თამაღლ-სპასეთიც შეაშინა და მუდამ მებრძოლმა აურიცხველ თამაღლ-სპას-ლეკთ დაშერებ-თან და მუდამ ძლევა-მოსილმა ირაკლიმ განაკვირვა რუსეთი და თვით მთელის ეკროპის უურადღება მიიპყრო. ეკრობა თვალ-ეურს ადეკვებდა მას, როგორც საკვირველს გმირს. მა-შინდელ ეკროპიულს უურნალ-გაზეთობაში დიდ-მაღი მასალა ჩორის შენახული ამ გმირის ისტორიასათვის (Бут. I. 101—102). რუსეთის ხელმწიფე ეკატიონის დიდი თავის წერილში გოლტერთან შებით მოიხსენიებს ერებუს (Бут. I. 281, пп.).

I. III. 118). ძღვური მეფე პრუსიის ფრიდრიხის ბრძენი სშორის ხტყოდა: «დედა, მიწაზე ორნილა არიან: მეფენი: ფრიდრიხის პრუსიისა და ერკელე, მეფე ივერიისა.» მართლაც, ორნივ მეფენი შესანიშნავნი არიან: ორნივ იყვნენ: მებრძოლნი აურიცხველ მტკრთან და მცირის ჯარით ორნივ მძღველნი გამრდიოდენ: ორთავ აღადგინეს სამშობლო თავის შრომითა და სისხლით დაცემისაგან. განჩენება ემ ორთ საკვარველთ გმირთ შორის მხრლოდ ის არის, რომ დადს ფრიდრიხის ჟავდა ჩინებულად გაწვრთნილი, მთელს ეპოქაში საუკეთესო განთქმული კარი და აუკუპელი საშუალება, ხასისა ჭილდა. ერკელეს კი არა ჭილდა-რა, გარდა მსნე, დაუღალავის, შეუშინებელის, გმირულის სულითა და გაუწვრთნელის, ცუდად. მეიარადებულის, მაგრამ კაუ-კაცურის სულით შოაბერილის, მისთვის თავ-განწირულის ქართველთ ჯარისა, — და მა საკვარველ გმირს ჭირ კიდევ არ იფნობს ის ერთ, რომელის პლდგუნისა და ჭილ-დღეობისათვის, რომელის დრეგისა და თავისუფლებისა-თვის მან უზომო სიმწარე დალია და აურაცხელი დაწარმატებდა დას-დო, რომელსაც მან შესწირა მთელი თვისი ხანგრძლივი სი-ცოცხლე!

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს პეტრი ელიმებოდა, მისი დადების მზე თან-და-თან ბრწყინვალელ ამოდირლდა და უკედა უკონდილ მამელის-შვილთა გული იმედებით და სიმხნით კეცებოდათ, უნათლდებოდათ, როდესაც და მარცხებულნი, სამშობლოს გარშემორტყმელი ძღვიერნი მტკრნი, მიშით და გაუკირვებით ჭიერავდენ ერთის მუქს ხალხის ძლი-ერქანს და აღდგომილი ერთ კეთილ-დღეობის გზაზე დგებოდა მგვიდრად, — სწორედ ამ დროს უკუღმა იწერ ბენდა ტრიალი: საქართველოს ნათელს ციაგზე თან-და-თან აკრიფებოდა შევი-

დოდ-საკვდარო, სამქუარო ღრუჟელი და ბნელის სევდის ზე-წარი ეფურებოდა მომღიმერე სამშობლოს ბეჭა. ახალს მტერს არა ჰყავდა არც ჯარი, არც შეძლება ჰქონდა, არც სასე-ლი და ზიდი გავლენა, მაგრამ უშიშარი, შეუბრვარი გმი-რული გული ირაკლისა ჰქონებოდა ამ მტრის წინ. საქართვე-ლიში განმეორდა ის მოვლენა, რომელიც მოხდა ამას წინად, ბაქარის საქართველოს სამზღვარზე ეთონის დროს დაკარგუ-ლის ტახტის საძიებლებდ, მაგრამ ეს მოვლენა ეხლა მოხდა სსკა რიგად და სსკა გვარი, ხევათვი მოიტენა. ეს მტერი იყო ბაქარის უფროსი შვილი ალექსანდრე. ამ უბრალო მტრისა, არ ვიცით, რატომ, ერეკლეს უფრო უშინოდა, კადრე შეე-თებულ ოსმალო-სპარსთა ჯარისა.

ალექსანდრე დაიბადა რუსეთში და იქნე აღიზარდა. ის იყო დიდების და შატივის მოუკარე, უმეგობრდებოდა რუსეთ-ში გაკლენის მქონე ბირებს და პეტრე III მეფობაში თითო-ნაც მოითვა გავლენა თვით სასახლეში. დაუსდოოვდა და და-უმეგობრდა გადეც თითონ მეფე პეტრე III; მასთან დადიოდა და, მასთან დროს არარებდა და სიკვდილის დრომდე არ სტო-კებდა მას (БУТК. II. 114). ცოლად შეირთო მენშჩივოვის ჭა-ლი, იმ დროს დიდად გავლენისას კაცისა (БУТК. I. 500); სასიათოთ იყო მეტად ჩქარი და მოუსკენარი. სამსახურში ით-ვლებოდა იშმაილოვის პოლკის გვარდიაში და 1762 წელს ჰქონდა კაპიტნის ჩანი (БУТК. II. 114) და კარგი ჯამაგირი, გარდა მამისგან დარჩენილის დიდ-მალის უბრავის ქანებისა (БУТК. I. 432; 67). რეშტის (1732 წ.) და განჯის (1735 წ.) ტრაქტატებით, რომელიც რუსის მთავრობამ შეკვეთის სპარსეთ-თან, კახეთისგ და მისი. შთამომავლობა ითვლებოდა სამდვილ მემკვიდრედ ქართლის ტახტისა (БУТК. II. 114. I. 110; 130).

ერეკლე მეფის გაძლიერება რესეტის სამზღვაოზე არ იყო სასიამოვნო ვასტანგ მეფის გვაროვნებისათვის ; ასაღმა შოლიტიკურმა მოსაზრებამ ისევ გამოიყვანა საქართველოს ასპარეზზე ვახტანგ მეფის შთამომავლობა. ალექსანდრე მთავრობამ ყიზლიარში მოიყვანა, „როგორც მოუხვენარი და მთავრობისაგან შენიშნული ჭარია, ჩინ-ახდილი გაუშვა სამზღვაოზე 1766 წ. 2 მაისს. (БУТК. 114). ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართლში და შიში დაჭიბადა ირაკლის გულში. თავისუფლად ჭაშებული ალექსანდრე უკალაზე წინ სპარსეთში წავიდა (ცოლ-შვილი კი რესეტში დასტოვა), სპარსეთის შაჰი ქერიმ-ხანი მდიდარის საჩუქრებით მოისყიდა და ირაკლისთან ომში გამოიწვია; მოისყიდა აგრეთვე დაღესტნის უფროსი და გილიანის შაჰი გედაეთ-ხანი. ესენი უკალა კრთად უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში 1778 წ. და ირაკლი ტახტიდან ჩიმოეგდოთ. მაგრამ სპარსეთის შაჰი მოკვდა და ხათათბირევი დაირღვა (БУТК. I. 115). მაშინ ალექსანდრე ეწვია იმერეთის მეფეს სოლომონს I (1779 წ.), რომელსაც იმ დროს უკმაყოფილობა ჰქონდა ერებლესთან და სცდილობდა აღემრა სოლომონ მის წინააღმდეგ, რაისათვის იგი დიდს საჩუქროსა ჰქონდებოდა.

ალექსანდრეს გაჩენამ იმერეთში, ეგრე ასლო მის წინაპართ საგამგო სახელმწიფოსთან, რომლის ტახტი რიგით მას ეკუთვნილა, დიდი ზედ-მოქმედება იქონია ქართლში. ასედა გაცდა ტახტის მემკვიდრის მანქანების გავლენით აღელდა თავად-აზნაურობა ქართლისა, რომელსაც დათქმული ჰქონდა მოკალი წყალობა. თავადობა, განსაკუთრებით უმთავრესობა გვარი (ამიღასვარნი და ერისთავნი), უკმაყოფილო იუვნენ ერებლესი, რადგან ერებლეს ჩელში მოკლდათ თათქმის ხელმწი-

ფური გავდენა, ომელიც წინად ჭრილდათ და მიემხრნენ ალექ-
სანდრეს, სცდილობდენ მის გამეფებას ქართლში. თვით ქათა-
ლიკოზი ანტონ I, შეიღი ვაკრანგ VI მმის, იქესი, მაშასა-
დამე ქართლის ტახტის მემკვიდრეთ შთამომავლობისა, ბუტ-
კოვის აზრით, ომელიც დასაჯერებელია, ალექსანდრეს მსა-
რეზე გადავიდა. (მის წინად 1771—1772 წ. ანტონ რუ-
სეთში იუო გაგზავნილი დეპუტატთა შორის ერებლესაგან და
ვაკრანგ მეფის გვარეულობის საქმეს ხელს უწეობდა Бутк.
II. 115). ალექსანდრემ დაიწყო კიდეც დაშერობა და რამდენ-
ჭერმე დაეცა ქართლს (Бутк. იქე). მან დაიქირავა ლექები და
მათის შემწეობით სცდილობდა არეულობა აეტესა საქართვე-
ლოში. ერებლემ ფიცხელი ზომა მიიღო აჯანცებულთა წინა-
აღმდეგ. ოვრორც იწერებოდენ მაშინ, ანტონ ქათალიკოსი ვი-
თომ ციხიდგან ჩამოაგდებინა (Бутк. II. 115. პრ, 2). თუმცა
ეს საეჭვო არის, მაგრამ დასაჯერებელია, ომ ქათალიკოსი
დასჯილ იქმნა. (საჭიროდ ვრაცხო აქ შევნიშნოთ, ომ თვით
თემურიზი, ერებლეს მამა, ეჭვის თვალით უურებდა ჭია-
ლიკოსს, ომელისაც აპრალებდა მისს მოგვარე ვაკრანგ მე-
ფის შთამომავლობის სასარგებლოდ მოქმედებას. ქართლის
ტახტებ დაბრუნებისთვის და ეს იუო არა უმოწევესი მაზე-
ზი მისის საქათალიკოზო ტახტიდგან ჩამოგდებისა და სამ-
შობლოდგან განდევნისა 1755 წელს.) ირაკლიმ ამილასკიანთ-
და ერისთვიანთ გვარის დევნა დაუწერ, განსაკუთრებით პირ-
გელს გვაროვნებას. ერთი ამ უკანასკნელთაგანი ალექსანდრე
ამილასკი დევნილი განივლტო რესეთში 1771 წ. და ბა-
ტონიშვილს ალექსანდრესთან იუო ამ დოკოდგან (Hist. mod.
de la Georgie, trad. par. Brosset, ნაწ. II გვ. 248,
შენ. 1.). განვითარება 1781 წ. ალექსანდრე ახალცისები წავი-

Հա Հա ռամալուս ետևող է Այմինյոնակ. Այ Տասարյանը մո-
ջանալու օյմեն, առելու առաջնութեամբ վարութեանը Հա
կազմու Շուշուու հաջութա.

Այ զիւրա քահնչու-թա ռամալուս Հա Առամինյանը Տեղակա-
տուս Տանյենս առաջանյութեան, առյայսանդրյ. Այս օմյուրութեա Հառ-
ճանա 1781 Իլուս Համելոյն, մագրամ պահ Տռալումուն. Մյոյը մ-
մոյսթու շուշու ռիշտ Հա գանձեցնա օմյուրութեան. մաման
1782 Իլուս Համելոյն ռիշտ Հաճանա պահութութեա; Ճի-
ջու այսես Հա պահութութեան ռիշտ Ինուալմելոյն Ուրակութուս.
Հաճան Կայսերուս Տամինյանը մոյուա տարուս մուշան յաթօ-
լաւուան, ռոմելուս Տամինյան յութուս Հա առյութեա Հա 1781-
առան, ոյ Հայեմ Կոյթուա յույնոյն Ուասութեան Տամուսազդե-
հաւան. Օմուս Համա առյութեա Առ-Առ Եղման Այմինյոնասատուս.
յաթօլութու Հայեմ Կոյթուա Հա Հանյենանդաս Տանտան յաթ-Առութուան
Ինը Տանյենա, ռոմ Ասու մոյ Ամուլոյն առյայսանդրյ. Քյուրեսը
նյութ Էմուլսանտան յութուա, առյայսանդրյ Հարյունանդեա մոյու-
ան 27 պի. 1782 Ի. Պահ Տան Հատան Սմա Հա մուսիցա.
մոմինութեա Տանյենա տանուս Համան յույնոյն Ինուալմելոյն (Ես. II, 116.- 117.).

Այս յույնոյն պահութան, ռոմ Տանյենա մուլս առյայսան-
դրյ Քյուրես յան Տան Համան Հա առ Այս մասս
ամյութեան մաս յուրանուս յանութեան մուտան Յյոմաս, Հա յու-
ույնութեա 1782 Իլութեան Տան-Հա-Տան Օպյութեան մուս ըունյես.
Ամ Համան մուլս Համան մուլս Այս յույնոյն պահութան մուլս,

«Ռոմ Հա այս օնյեն, ոյ Տան օյնյեն,
Վարութ Հա առ Այս օյնյեն,»

Այս մուտան պահութան, ռոմ մոմայալմա յունա Հա առ Հա ա-
ռ առ առ, առյայսանդրյ մունյենան, Վարութ Հա առ Այս օյնյեն,

რომელსაც მან შესწარა მთელი თვისი წარსული ცხოვრება და რწმუნდებოდა, რომ ქართლი მის მემკვიდრეთ გამოეცვებოდა, საქართველო ისევ ნაწილ-ნაწილად გაიწერებოდა და მისი პოლიტიკური ძლიერება, კეთილ-დღეობა, თავისუჯლება მის დაცუმოდა. ამ დროიდგან რესეთისაკენ მიიქცა მისი გონიერება და მასთან კაშირის დაჭრას დიდ ხსნს და ღრმად უფროქრდებოდა. ის კხედავდა, რომ მხოლოდ ამით მოიშორებდა აღქანდრეს მეტაქეთას, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.

ამიტომ, როდესაც ირაკლიმ შეიტყო ალექსანდრეს მოქმედება დერბენში და დაღესტანში, განუცხადა რესეთის მთავრობას, რა დიდი კნება უნდა მოეტანა ალექსანდრეს მოქმედებას მისთვის და საქართველოსათვის (Бутк. II. 117); და რომ მისს გვარეულობას სამუდამოდ არ დაჰყარებოდა ქართლის ტახტი და ქართლ-კახეთის ერთობის დარღვევა არ ენახა, გარდასწყვიტა რესეთის მთარეველობის ქვეშ შესვლა. დარწმუნებული იყო, რომ ამ მსხვერპლით დაშლილა იმ მანქანებას, რომელმაც გამოიყვანა საქართველოს ასპარეზზე ალექსანდრე და აიცილებდა ასაფის უწესოებას. მეფემ აცხობა გიღეც თავის აზრი რესთ-მთარეველობის ქვეშ შესვლაზე პოტემკინს (Бутк. II. 117), რომელიც დაუკარგებული იყო სამხრეთის სამზღვართა გამგედ და მოსამზღვრე სალქთა პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობის უურის მგდებლად. ამ განცხადებით კმაყოფილმა პოტემკინმა, კაცი (რეინედსუ) შეუჩინა ერეკლეს, რომ მას ჭრომალურად გამოეცხადებინა თავისი ნება რესეთის მთარეველობის ქვეშ შესვლაზე (1782 წ., შემოდგომას. Бутк. II. 118). მეფემ ადასრულა პოტემკინის წინადადება და გაგზავნა რესეთის დედოფლთან ჭრომალურ განცხადება, სადაც უმთავრეს პირობად რესეთის მიმარეველობის მიღებისა დასდო:

1) რომ ის თავის შთამომავლობით ცნობილიყო რუსის მთავრობისაგან მეუღლე ქართლ-კახეთისა და «ალექსანდრე ბაქარის შვილს ან იმ გვარ სხვა პირთა მასთან ცილობა არ შესძლებოდათ და არ მიეღოთ მის შთამომავლობისაგან ქართლ-კახეთის ტახტი; 2) ოთხი ათასის ჯარის-კაცის გამოგზავნა საქართველოში რუსეთის ხარჯით; 3) ქათალიკოსის კათედრის შეუცვლელობა; 4) საჭირო ფულის სესხება რუსეთის ხაზინიდან.

ირაკლი თავს იდებდა: 1) დაბრუნებისა რუსეთის-თვის დროგამო შეებით ის ხარჯი — რომელიც რუსის ჯარს დასჭირდებოდა ძველ საქართველოს მაზრების დასაბრუნებლად და მთელის საქართველოს გასაერთებლად — იმ დაბრუნებულ ჯგუფების შემოსავლიდგან; 2) ერთი თავისი შვილი და რამდენიმე თავად-აზნაურობა გაეგზავნა ამანათად რუსეთის სასახლეში; 3) ეძღია ნეხევარი საქართველოში აღმოჩენილის მაღნეულობისა და კომლის თავზე 70 კაცები. 4) კგზავნა რუსეთში უოველ-წლობით 2,000 კუდრო ღვინო და 14 საუკეთესო ცხენი (Бутк. II. 119—120). რუსის ხელმწიფოს სასახლეში უნდა უთვილიყო მიღებული საქართველოს გლეხი იმავე დირსებით და პატივით, როგორც სხვა სახელმწიფოთა ელები იუვნენ მიღებული და ერგეთვე ელჩი რუსეთის მხრით ქართველ მეფის სასახლეში უნდა განწერებულიყო (Бутк. II. 124). ეს პირობა (ტრაქტატი), რამოდენადმე შეესტული (13 მუხლად) მიღებულ იქმნა და დამტკიცებულ 20 აგვისტოს 1783 წ. ამ დღეს უმთავრესს გავლენას თავადთა დაერიგა რუსთ-მთავრობისაგან 30,500 მან., ერველეს მეუღლეს დარიას — ურდენი ეკატერინესი ბრილიანტებით და ბეჭედი 5,500 მ. ღრმებული; მეფის შვილებსაც — სხვა-და-სხვა ორდენები;

განსევან ჭავჭავაძე მიღებულ იქმნა მინისტრად რესას და-დოფლის სასახლეში.

როგორც რომ ჩამოვარდა მიწერ-მოწერა მფარველობა-ზე, პოტემკინმა მოახდინა მეტაცია განკარგულება, რომ ალექ-სანდრე ბაქარის შვილი შეეუენებინა. მან მისწერა დარღვანდს და დერბენტის სანებს, რომელიც ერთად ალექსანდრესთან დაემზადეს საქართველოს დასარბევად, რომ არ გაეძედნათ ომის ატეს. სხვათა შორის სწერდა, რომ «ალექსანდრე ბაქარის ძეს ნება-რთვა არა აქვს რესის დადოფლისაგან ერკულესთან ომია-ნობის ატესისათ» (Бутк. II. 117). წერილმა იმოქმედა და მოსხენებულმა, სანებმა დაშალეს ჯარი (Бутк. იქვე). მაგრამ ალექსანდრე დარჩა მათთან, სანამ ტრაქტატი არ იქმნა მიღე-ბული და ხელ-მოწერილი (1783 წ. 20 აგვისტო). ეს უკანას-კენელი საქმე გათავდა თუ არა, პოტემკინმა მოსთხოვა მოს-ხენებულ სანებს ალექსანდრესი და ამილახვარის გაცემა (Бут. II. 133). გაუგზავნა მათ 500 მანეთი. სანებმა აფასოულეს პო-ტემკინის ნებს და მოსხენებული პირები გაუგზავნეს (1783 წ. ოკტომბ.). ნოტმბერში ამავ წლისა ისინი წაუკანილ იყვნენ რესეფში. როთავ დაენიშნათ სარჩე, ჭამაგირი, პირველს სმო-ლენსკში, და მეორეს, ვიბორგში (Бутк. II. 133). ალექსანდრე მოკვდა სმოლენსკში (Бутк. II. 134). დარჩა შვილები ეგორ და ალექსანდრე, რომელთა გვარეულობას მითვისებული აქვს წოდება საქართველოს თავადებისა (Кипъев Грузинские).

როდესაც გახტანგიც, მისი შვილი ბაქარიც და გურამი-შვილის უბელა პირველი ამსახურიც საფლავში ჩავიდნენ, პო-ეტო, რასაგირველია, უფრო იგრძნობდა თავის-თავს უცხო შემყანები თბლად და ეს გრძნობა მუდამ სდევნიდა და სტან-კვიდა. თბლად გრძნობდა პოეტი თავს თავის აჯანმიც.

სიბერის დროს მოსუცისათვის დიდი ნუგეშია და გულ-გა-
სართობი, ორდესაც თოვლსავით გათეთრებულ მისს თავს
გარშემო კვლებიან შვილი, შვილის - შვილი, მემკვიდრე-
ნი, ნათესავნი, ორმედნიც შეადგენენ უმშენერესს სამკაულს
უმთავრესს სიმდიდრეს, საუკეთესო ნუგეშს. მის გულს ანუ-
გეშებს ის საამო, განმაცხოვლებული აზრი, ორმ არ რჩება
უპატრონოდ, ორმ მან დასტოვა ქვეყანაზე თვის მაგიერი,
ცხოველი ძეგლი დაიღგა სიცოცხლეაშიგა, ორმ სიკვდილის შემ-
დეგაც ჭეავს მას მომხსენებული, მზრუნველი, ორმედთაც მწუ-
ხარე ცხელი ცოტებული ციურს ცვარად გარდოვარდება მისს გა-
ცივებულ გულზე, დაეცემა მის მუკლო საფლავზე: სიკვდილი
მას უჩანს განსკენებად, შეებად.

სიბერის უამს ჩვენი პოეტი არ ჭირდავდა თვისს ჭაღა-
რასედ ამ სამკაულს. მას არ უსხდეს გარემო გულ-მტკიცნებულ-
ნი მემკვიდრენი, ნათესავნი, მას არ ელერსებოდენ, არ ახა-
ლებდენ არც შვილის-შვილი, არც შვილი, ის არ ხედავდა
არსათ წრიველს, მოუსუიდავ გრძნობას მისდამი. პოეტი ელო-
და სიკვდილს უცხო სალხმი, უცხო, უთვისო ჯაფრა ჭილში,
ობლად უნდა მიჰებებოდა სიკვდილს, მოკლებული გრძნო-
ბიერს, ცხოველს ცოტებულს. ეს ორ-კუცი ობლობა პოეტისა
აორგეცებდა მის სევდასაც.

«ვამე თუ ჩემის სიკვდილით გული არავის სტკირდეს,
გულ-უმსურგალოდ ტიროდეს, განგებ სმა მაღლა ჭიოდეს,
უმრალოდ იწირპლებოდეს, ცოტებული არ ხარბად ზდიოდეს,
და რა მნახოს თვალებ-წუხილი, ჩემზედ ავს რესმე ჩიოდეს.»

აი კიდევ მეორე ლექსი:

«სჩანს შენი მხსნელი აღარ სადაო,
აღარც ქვეყანად, აღარც ცადაო,

აზარც მამა უყავს, აზარც დედაო,
აზარცა მმა და აზარცა დაო...
«ვაიმე, მამავ, ვაიმე დედავ,
მმაო და დაო, გმრც ერთსა გაედავ!»

შოუტი დარჩა უშვილო, უნაუთვო. უშვილობა ქართველთ
მიახნდათ და ეხლაც მიახნიათ დად უბედურებად, ღვთის
რისხად. შვილი არის არა თუ გვარელობის გამაგრძელები,
დედ-მამის მომვლელი სიბერის უამს, ოჯახის ბოძი მათ
უქმდება, — მორწმუნე კაცის აზრით შეიღი არის მზრუნვე-
ლი, სიკვდილის შემდეგ მათის სულისთვის, მათი მომხსენე-
ბელი, მდგდლის ჰასუხის გამცემი, ღვთის წინ ძლიუცველი; ერ-
თის სიტუაცით შვილი არის ბატონი, ჭირისუფალი, მომვლე-
ლი მშობელთა მაშინ როდესაც იგინი გულ-სელ-დავრუფილი
საფლავში ჩავლენ და აზარ ძალ-უძრა თავისთავზე იზრუნონ.
ღრმად მორწმუნე, ღვთის მოუკარე შოუტი ამ აზრისა იყო
და ამის გამო უშვილობა თვისი მას მიახნდა მმიმე უბედუ-
რებად, რომელიც ამრავლებდა, აძლიურებდა მის გულში სეჭ-
დას, მწუხარებას. ეს მწუხარება ვერსად დაუმალავს შოუტს.
უოკელგან, სადაც ბედს შესხივის, ის აუკედრის ამ სასჯელს.
მაგრამ სიბერის უამს ეს სევდა თრკეცად განუცხოველდა
შოუტს. გავიგონოთ თვით შოუტისაგან ჩივილი ამ უბედურო-
ბაზედ.

«ვამე ცოდვილსა, მე უმაღლობა,
დავრდომილობით უხუც-უმღდვდლოსა!
მე ვინ მიღოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?
«უმკვიდრო ვიქმენ, არ დამრჩა შვილი,
რომ მას აღნოთ სანთელი ცვილი,

ქენა აღაპი, დაედგა ტაბლა:
ასე მაღალმან მე დამამდაბლა!»

ა თ კიდევ საჩიგარი იმავ საცნოზე:

« მშვიდლდს მომიწიგა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა მე, არც ასული, არ კი მიძახის მამასო...
• • • • • • • • • • • • • • • •

ჩ დავჯემ დ ლექსვა დავიწევა, გსთქინი, თუ ვიშვილებ ამასო...
« ამაზედ არის ჩემი და ცორუის საწუთოს ჩხებია...»

მე მსურდა ერთი,— არ მომცა; კის არ სურს— მისცა ტეუბია!
« სამ-ოთხ რიგად მუსანათმან გულს ლახვარი მომაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამდერა.

კით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოუა, ამაღერა

ჩ თესლ აშრეტით გამისხმო და უნაყოფოდ დამაუკრა.
« მემქნა უშროტო, უნაყოფო, კით ხმელის ხისა გალია;

გულს ლამასვა სამჭედ ურად ლახვრად სეგდის საგალია!..»

გრძნობა სულიერის ობლობისა, რომელიც, როგორცა
გსთქვით, ჰოეტს სტანცვიდა, იმდენად უირო უძლიერდებო-
და, რამდენად ჰოეტი უფრო ღრმა სიძერში შედიოდა და
ჭედებდა, რომ სიკვდილი თან-და-თან უასლოვდება და მისი
გაღესილი ცელი ეჭვარებით ტრიალებდა მის თაგზედ. ჰოეტს
უკუმხედველს თვალ-წინ წარმოუდგებოდა გრძელი რიგი ფუ-
ჭად გავლილ წელთა, უნაყოფოდ გატარებული ცხოვრება, ცუ-
დად დალეჭული წეთები საუკეთესო ყმაწილებისა, გაუ-გაცო-
ბის უამისა და წინაც არა უჩნდა-რა სანუგეშო; მომავალი
არც კი იყო მისთვის: ის იდგა ცხოვრების კიდე-უისკრულ-
ზე, ხორციელი მისი ტაძარი თან-და-თან ირლევოდა, გრძნო-
ბანი დღითი-დღე თთოლ-თითოდ დალატობდენ. უკელაზე წინ
თვალებმა უსუსტა. 1774 წელსაც როდესაც ჰოეტი 69 წლი-

სა იურ, მის თვალებს დაეტურ სისუსტე, ოაიცა სჩანს «საკ-
ვდოლის და გაცის საუბრიდამ.» სიკვდილი უწოდებს პოეტს
გონჯ-დაბრეციალ ბერივაცად, ომელსაც ნემსზედ ძაფის აგე-
ბაც ემნება:

«ქაცო, ოდ შენს თავს კერ ჭედავ, თვით გონჯო დაბ-
რეცილო და,
ოომ დასჭექ ჩემად საკიცხად, წიგნსა სწერ სასაცილოდა...
კაცო, თვალთ გიჩანს, არ გიჭირს, ნემსზედა ძაფის აგება?
ჩემის რგავის საცნობლად ოდ შენ თვალები აგიბა?

ვიღებ ლექსი:

«კათ მოვლებულს სიბერით ბრძასა!

ნეტიარ მატებულს, მოზარდსა ურმასა!»

მტკიცე, მაგარი ტანთა-გებულება პოეტისა თან-და-თან
სუსტიდებოდა; სიბერი, ოოგორც მღილი, დღითი-დღე, ნელ-
ნელა თხრიდა, არღვევდა მის მხერ სხეულს; მის პირის სა-
ხეზედ ღრუ-ჟამბა წაშალა სიმსიარულე, ჭაბუკობის მშვენება,
თავს სშირი თმა ჩამოაცადა და მეღოტად გახადა; ცანს ძა-
ლა წაართო, სულს სიხარული მოუკეთა და მისი გული სევ-
დით აღავსო. პოეტი მწესარის თვალით ჭედავდა, ოომ თან-
და-თან იშლება მისი არსება სორციელი და სულიერი.

«აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,

არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:

ცოტმან საწუთორომ მარიდა პირი...

ვით გალსა ხესა განმისმო ძირი...

გული მიშავა, ვითა ნასშირი,

გამაურევინა თავზე თმა სშირი,

პირი დამიჭვნო ვითარცა ჩირი,

დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი,

შემუალა მნელი ალათ ჭირი,
გულზედ მასია მცვლად დანაჭირი;
მომიახლოვდა მწარე სიკვდილი,
ცელ-გალესილი, სრმალ-ამოწვდილი. »

სულიერის ობლობის გრძნობას გარდა პოეტის ტანჯვას
ემატებოდა მეორე, სხვა გვარი, უფრო მლიერი, უფრო მძიმე,
სასტიკი სულიერი ტანჯვა—მამულის სევდა. ეს სევდა სდევ-
ნიდა მას სიჭიბუკითვე; მაგრამ მაშინ პოეტს, უნებურად გარ-
დაგდებულს უცხო ქვეყანაში, დიდი იმედი ჭირდა მამულში
დაბრუნებისა და ეს იმედი, სევდასთან გარეული, ფერს უწვდი-
და მის მწესარებას, უმსუბუქებდა ტანჯვას. სევდას უმსუბუქებ-
და აგრეთვე ის ქართველი საზოგადოება, ოომულშიაც მუდამ
ტრიალებდა და ოომულიც ავიწყებინებდა, ოომ იგი უცხო-ქვე-
ყანაში იყო. მაგრამ ესლა, ოოდესაც პოეტს სიძერის უამა ეწ-
ვია, ოოდესაც თან-და-თან შემოუცალხეს ტრლ-ამსახვნი, ქარ-
თველი საზოგადოება ნელ-ნელ განწყობა, მიიღია მის თვალ-
წინ და პოეტი დარჩა ობლიდ უცხო ქვეყანაში, სხვა ხალხში,
—ესლა მძიმედ და ძლიერად დაწერა მის სულს მამულის სევდა
და გასძრცხოველების იმედის ცეცხლი წაეტვა მის არსების. —
ამ სევდათ მორწყელულია თითქმის უკელა ნაწილმოები ბოეტის
გალმისა. ჩუმი, გულ-ჩასვეული მწესარება, მამულის სევდის
ბეჭედი ასვია უღველს მის ქმნილებს, მაგრამ უკანასკნელ
დროის მის ლექსებში ეს სევდა უფრო ძლიერად მეტყველებს,
წყაროსავითა სცემს მის სულის უფლერულიდგან. — მთელს
რიგს იმ ლექსებისას, სადაც ის ბედს უჩივის, საწყობოს
სწყევლის, სიკვდილთან ცილობს, ებჰვის, ქვეყანას და ქვეუიუ-
რებას ბოროტებად ჭხატავს, — უმთავრეს საძირკვლადა აქვთ
პოეტის უკმაყოფილობა მით, ოომ ბედის, საწყობომ, ღრო-

ეს მძინა ქსამართლოდ მოსწეული იგი სამშობლო ქვეყნას, უნა-
უოფლოდ და კენო უცხო ქვეყნაში, გარეშე მისის ხალხისა,
ნათესაობისა, ოჯახობისა, უკუღმა ატანა მთელს სიცოცხლე-
ში მის ნების წინააღმდეგ, დააბერა და გაახმო გარე ქვეყნა-
ში და აქვე უთხრის საფლავსა. ორგორც ძლიერის გრძნობის
ნაუღი, ეს ღვევები კეუთგნიან უჩინებულებს პოეტის ნაწე-
რებს, და შეკვიდლიან თამამად, დამტკიცებით წარმოვსოუკათ,
რომ საწუთოს დასატკაში, ბედის უკუღმართობის, მუხანა-
თობის, დაუღირობელობის, ორ-შირობის გამოხატვაში პო-
ეტს დარი არა ჰყავს ჩვენს მწერლობაში. ღვთის ღმობიერება,
ღრმა მორწმუნება პოეტია, რომელიც უკველს უბედურობა-
ში ამსნებებდა და ბევრს მისდა წვეულ უბედურებას უმსუბუ-
ქებდა, — თვით ეს ღრმა სარწმუნოებაც მამულის სევდის წინ.
სანდისხან მკრთალდება და თუმცა კვლავ არსად გაუბენია
ღმერთზედ ძვირის ოქმა, მამულის სევდით ადრული პოეტი,
სიბერის ღროს, თვით ღმერთს უბედავს საუკედურსა და მის
გამგეობის უსამართლობას მწარედ შესხივის.

«მამაო, თავსა მივარავი დაგუდგა კარგი კარგი,
განიერი და მაღალი, სელთაგან მაუგარავი,
შინ ვიუავ, სადღაც გამაგდე, პალური ამომკარ ავია,
და მდო ცოტმლი ჩემი ზღვად გასდა თვალთაგან ნაწანწერავი!...
«ფუ, შენ ცოტო-საწუთორო, რადარ მძულდი, რად მიუ-
კარდის
შენ უოფლნარ მწარე შესავი, მე მეგონე ტებილი უანდი.
აქ საკვდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წა-
მიყვანდო
და რატომ ეგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შეგწყალდა!?.»
გილევ ღემსი:

«ამად კუმდური საწუთოს, თორემ სხვა რა მაქვს სადათ? სად მომიუგანა სად მეოთი, გიდებ მივუეკან სადათ!...»

მალალი, განიერი კარავი», რომელსაც ისსენიებს შოეტი შირველს ამოწერილს ტაქში, რასაკვირველია, ნიშნავს სამშობლოს. მაგრამ ზასაფიქრებელია მეორე ტაქშის ჭრაზა პოეტისა: «აქ საკლავად რად მოგვეანდი, თუ მუნ (ე. ი. სამშობლოში) ცოცხალს წამიუგანდი.» ნე თუ შოეტი სამშობლოში ყოფილა რესეთიდგან დაბრუნებული? კინ მისცემდა ნებას რესეთის მცხოვრებად ჩაწერილ შოეტს გარდმოსულიყო სამზღვაოზე? პალიან საკუთ არის, რომ შოეტი დაბრუნებულიყო სამშობლოში რესეთის მცხოვრებად ჩაწერის შემდეგ. თუ შოეტი სამშობლოში იყო, ეს უნდა ვახტანგ მეფის სიცოცხლეში მომსდარი იყო, როდესაც ის საქართველოს მცხოვრებად ითვლებოდა. შეიძლება, რომ რადგან ვახტანგს მისვლა-მოსვლა ჭრონდა გამართული ქართლის მოთავე შირებთან, ის იქნა გამოგზავნილ ან გამოიყოლილ რომელსამე დეპუტაციასთან ქართლში და ამ დეპუტაციასთან დაბრუნდა ისევ ვახტანგის სასახლეში რესეთში. უფრო შესაძლო იყო ეს, მაგალითებრ, 1736 წ., როდესაც ვახტანგი დარებანდში მოვიდა და განზრასვა ჭრონდა ქართლში შემოსვლისა რესეთის ჯარის შემწეობით. მართალია, 1742 წელს ბაქარიც საქართველოს სამზღვაოზე იდგა და მისვლა-მოსვლა ჭრონდა გამართული საქართველოში, მაგრამ მაშინ შოეტი ამში იყო (შედის ომში).

თვისი მძიმე მამულის სევდა შოეტს უნდოდა გამოესატა თვით იმ ჭვაზედ, რომელიც უნდა დაედგათ მის საფლავზე. ამ ჭვაზედ წალსაწერად შოეტმა შემდეგი ლექსი მოამზადა:

«წმინდა ითხე კახეთს ზედაზენს
სასწაულობით ჭერითგიცს ცრემლს ადენს;
ქართლს წმინდა შიო მღვიმეს ძვლებს აკლენს,—
ორივ შვრებიან სასწაულს ამდენს.

«ამ ობს მონასტერის მაქვნდა აფაგი,
სასაფლაო და ძვალთ შასალავი,
ორივ ჭერითგირით აღშენებული,
სახლ-გალავნებით დამშეგნებული.

«ახლა მოძმანდი, მნახველო, მნახე,
მისად სინუჯქოდ სად დავიმარსე...»

შეკრთხებული სულის ტანჯვა პოეტისა გამოითქვა ერთს
საზოგადო პოეტის დროინდაში ბედზე, საწუთოს უკუღმარ-
თობაზე და ეს დროინდა დაეტყო მთელს პოეტის ნაწარ-
მოებს, განსაკუთრებითი სასიათი, მიმართულება მისცა მთელს
მისს წიგნესა, ორმეტსაც თითქო ერთი საგანი აქვს—ბედის
წევება, მისის მუსანათობის, ფლიდობის გამოხატვა.

სიკვდილის კარზედ მდგრმსა, ბედისაგან დეკნილს, უშვილ-
ტომოდ დაბერებულს, სამკვიდრო ქვეუნით უცხო ქვეუნად გა-
ძებულს და იქვე სასიკვდილოდ განმზადებულს ტანჯულ პო-
ეტის ერთი ნუგეშიდა რჩებოდა თვის შემდეგ,— თვით «დავი-
თიანი». ეს წიგნი პოეტმა, ორგორც თვითონ მოგვითხრობს,
იმიტომ დასწერა, რომ ლმერთმან უშვილოდ დააგდო და
სიკვდილის შემდეგ მომსხენებული მისის სულისა მემკერდე
არ მისცა. ეს წიგნი იშვილა მან, და შვილის მოვალეობა მის-
დამი „დავითიანს“ მიანდო. ამ წიგნით მეითხველოთ უნდა მო-
ეხსენებინათ მისი სული, შენდობა წარმოეთქვათ და ღვთისად-
მი ელოცათ მისის ცოდვის შემსუბუქებისათვის. ამ განზრას-
კით პოეტმა სიბერის დროს შექვარა ლექსები, რაც სხვა-და-

სხეა დოლეს ეთქვა და ერთ წიგნად განაწიგნა; დასწერა აგრე-
თვე რამდენიმე ასალი ღექსი, სადაც მკითხველთა სთხოებს მი-
სის სულის მოსსენებას.

«მე საწუთოობ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად:
ე არ მომცა, არც ასული, შემქნა სახლ-კარ დასამხობლად.
მ ღექსო თავი მოგუარე, საცა მეთქვა თვითო აბლად,
აგების რომ ბრძანოს ვინმე სიტყვა ჩემთვის შესანდობლად...»

«მად ვისოტბე. შეკვთიბე ცოტყის საწუთოს ყბედობა,
მე მე არ დამრჩა ბედ კოულსა, ეს არის ჩემი ბედობა.
ყრმათ, შენ მმოას გენუგი, ასულო მიუავ შენ დობა,
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა...»

კიდევ ღექსი, უფრო ადრე (1759—64 წ.) დაწერილი:
«მითსარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა,
რად უკვედრე უმობელსა, ბერწობ, კერა მოიგე რა?

იმას შვილად კერ კისა სჯობს, დავით ვინც ბედ მოიგერა,
დ ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.

«მე რაც გმობე, შვილად კსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან კა-
მიზარდა,

ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა...»

პოეტი სწესს მხოლოდ იმაზე, რომ ბეკრი დარჩა უთ-
ქმელი, რომ კერ დასტროვა კარგი გრძელი ღექსები, მითხო-
ბანი, რომელთ დაწერის წალილი გულში ედვა; მაგრამ მოუს-
კენარმა, შვილოთ საკსე ცხოველია, არეგ-დარევამ მის ბე-
დისამ, საწუთოს უკუღმირთმა ტრიალმა დრო არ მისცა
პოეტს აკსრულებინა თვისი წალილი, სიბერე ეწვია და წერის
ღონე წაერთო.

«რაც დამრჩა, კუთ კსოვე, მეწადა, მეთქვა გრძელად, თავი
მეცადა...»

კერა კითხვი, მოცდას უცდიდი, ნეტამცა არა მეცნა! მესწრაფა სევდის ლასვარი, საკვდავად გუჯა მეცა და აწ ამას ვღონობ, არ ვიცი, ქვეუნდ წავალ, თუ მე ცადა?...»

თუმცადა მწერლობითი ასპარეზი პოეტის დასტოა 1774 წ. მაგრამ ამ დროის შემდეგ კიდევ დიდ ხასს დოლაციები. 1787 წელს მას ვსედავთ ჩვენც ცოცხალის და საქმეში გართულას. ამ წელს სრულიად მზადა ჭრონდა პროექტი და მოსაზურობა წისქვილის დასაბორუნებელი და სარწყავის მაშინებისა, რომელთ მოგონებაზედ ბეკი ეფიქტის *); ამას გვა-

*) რადგან ბ. პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით ბ. ზალაგანიანის გამოცემულს «დავითიანში» გაშეებულია პლეისისაგან დაწერილი აღსნა ამ მოხაზულებისა, ამის გამო საჭიროდ ვრაცხ აქ ამოვწეროთ უმეტ-ნაკლოდ ეს განმარტება, რომელშიაც მისის ბიოგრაფიის მასალა არის და ბევრის მხრით გამოსაღებია.

მოხაზულობა ორია, ერთი წელის ამოსალების მაშინისა (№ 1) და მეორე (№ 2) წისქვილისა. პირველ მოხაზულობაზე, დახატულია შეაში კოლოფი, რომლის თავზე სანთელი ანთია. კოლოფის უკან დახატულია ფერადებით გულ-ხელ-დაკრეფილი, თვალ-აპურობილი მლოცველი კაცი, მელოდი, წერ-უღვაშ-მოპარსული, მხედარი გუსარის ფანისამოსში, — უკაველად თვით გურამიშვილი. იქვე უწერია: ეს კაცი ესე ილოცავს:

«ლმერთო, მაჩვენე ყანები,
ამ სარწყავთ მონაცემები.»
«ლმერთო, დამასწარ ზაფხულისა,
ფევილს ამ წისქვილზედ დაფეულისა.»

«ყოვლად წმინდაო, დამადევ წყლულზედ წამალი სამთელი,
უემაძლებინე აღვანოთ მე უენს წინაშე სანთელი!»
უკოის ზევით გამოხატულია ახსირვის ღვთის-მშობლის ხავი.— ამოწერილ ლექსებს შემდეგ გურამიშვილისაგან დაწერილია:
«ეს წყლის ასამაღლებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და

քյուղի հզեն Ռուֆո և միզենյորո մռեաթյոլոնս, Ռռմյուռուց
շյուրմի մշուլս տազու Եյլու պյմնու, Ռռգռռուց տզուռոնց էմ-
ծոնս և տազու բոցնու ծռուռու Բայրանյոնս. մռցռնուլուս
մանուս թռույթու, Ռռմյուս շանմառությունս, թռութուսացան քայլու,
Ասեռուռու մռցռյակս, թռութու նջռմուն բարյեցոնս մռաց-
ռունուսատզուս, Ռաջցան տզուռոն Տամյալյան պայտնուա մատուս
Սուսրույթու մռոյցանուս, մացռամ քու Տան դառհենուլս Վարյու-
ցենյուան, Ռռգռռուց տզուռոն Երեւու, մըս «Կմայությոնս և
Տյալ-մռցռյունուս Քամո.» Ռռույսաց Կյայտու մյուտո մյօյը,

Ծագեանք, Զյու առուած առուս ցամռպեալյեպյուլու Իյմուս սմռուրյուտ և
Եյլումոյլյունու և ամ Իյը նառյեամ լյոյշուս Բոցնու համուրանյոն և
յս բոցնո վարուռ-շակեռուս թյուպուռոնուս թյուպ ուրազլուս մուս մուրունուսա-
տզուս մոմուռումը և ամաս Մյցեցունոցար, Ռռմ Տաբա ալուցո ուրուս, ոման
ցամռապեալյուս:—յնուան Հազու շյուրամռու Եյլու զարյու.»—յըցունա, Ռռմ
յս մոյնիրու Յուրու մռեաթյուլյան Մյուժու.

Մռեաթյուլոնուս մուս Երեւու թյուրալուս թյունուտ հյուսուլան և
յարուլան Մյուժու: «Якона, язображеннаа Охтарской Богоматери Здѣлана мною по обещанию. Человѣкъ же подъ опшую
стоящиій значитъ то, что простеръ рука, просяѧ очея (ցա-
սրիւզյան) скромъ сдѣлан... (ցասրիւզյան) па сея картии
изображенной машина помощи; а сундукъ, стоящиій по лѣ-
вому человѣка стоящаго нему (ցասրիւզյան) значитъ, чтобы
охотно даталае (ցասրիւզյան) по единой депежка денегъ по-
лагая; тѣхъ денга должна быть впотреблена мною послѣ кѣ
состовленье пре(дѣ) (օ) него (ցասրիւզյան) яконого свѣчья,
або таковой обять мною сдѣланъ съ дnia начатая опои ма-
шяни.»

մուս յըցմու վարույլան Բարյյուրուլուս:

«աեսորչուս լյուս-մանօլյուս Եացուս և ոմուս բոն Եանուլյուս և
շոլուռուս ոցազո յւս առուս: Կայո Ռռմ լցաս և ոլուցազս; մացուսցան Մյու-

ირაკლის უფროსი შვილი (БУТК. II. 130), მირანი შეტერბულში განიწეა და მთავრობაზე გავლენა მიიღო, პოეტმა განიზრახა მიერთვა მისთვის თავისი ხელ-ნაწერი წიგნი და მოხაზულობანი და ეთხოვა, რომ მოსსენებული პროექტები წარედგინა მთავრობისთვის გასასინჯავად. ამ მითომევის ბარათი და სათხოვანი პოეტის ზედმოხაზულობაზე მიუწერა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, ჩავთვად თუ არა მოხსენებული წიგნი მირანის ხელში და თუ მიიღო მან, როდის და რა ბედი ეწვია პროექტს. უფრო დასაჭვრია, რომ წიგნი

თქმულობა ახა არია: ამ წისქვილმან რომ ფქვა უქმნას, მის დროს იჩის პირველად მნახავ კაცეა, თუ დედა-კაცეა თვითო დენიშვა სოხოვის მაგ კოლოფში თავისის სულისათვის ჩააგდის სანთლისათვის. მაგ რიგი ხაური უნდა ამ წისქვილში ესვენოს და ლამით გაუქრობლად სანთელი ენთლის.»

ამ ორის უკანასკნელ წარწერილ უქონხმებისაგან ცტადადა სჩანს, რომ მოხაზულობაზე ფერადებით დახატული კაცი არის თვით პოეტი და დაახლოებებით მის სურათს წარმოადგენს.

უმდეგ მიწერილია პოეტის ხელით უმდეგი ძვირფასი უნიშვნა: «ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ: ცალის თვალით სულ პრმა გიყავ, მეორითაც ავად გხედავდი. ჩემის ხელით მაგის მეური გარ უევიდე და სკვას ვერავის ვენდევ ხაზის მოუპარობის მიზეზით.»

ამის უმდეგ, სხვა ქალალდზე პოეტს დაწერილი აქვს უმდეგი დაწვრილებითი განმარტება მისგან მოგონილ მაშინების სარგებლობისა.

«სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა, რომელიც რომ ჩემის განმახელელობით მაღლოროსის თრი საწუნელი სწეულება მიცნია და იმისი სამკურნალო წამალიც მიძოვნია, ამას ქვეით ვაცხადებ გამოჩენით.»

ჭაროუქტებით მირიანმა მაიღლ, მაგრამ ჩვენის აზრით, გვიან, რადგან შირველად (1784—1793 წ.) მირიანი რესის ჯარში ერთ კიზღვიარში და მსოფლი შემდეგ მიღლო გავლენა (მირიან დაიძადა 1766 ან 1767 წ. 1784 ტრაქტატის შევრის შემდეგ პოლეოვნიგის ჩანით დაჯილდოებული, განწესებულ იქმნა რესის სამსახურში ყაბარდოს ჭიკვითს ჯარში. 1789 წ. ერებულე სწერდა თავის კლჩს; გასცეკან ჭავჭავაძეს, რომ მას არა ექმნა-ჲა საქართველოს შესახებ, მირიანის დაუგითხავად; მაგრამ ამ ბძინებას ჭავჭავაძე გვერდს უფლიდა. ერებულეს სიკვდილი

მდორედ და ღრმად ჩაგარდნით დიან: ისე არა დიან, ვითარცა აზიაში მომაღლოდ, მიწის-პირად ჩქარიად დიან; საითაც უნდა რუვით წაიყვანს კაცი და რასაც უნდა მორწყავს, გოლგოთაგან ნამუშეველს. არ შოაც დექნების და მალორისოში გოლგოთაგან დიალ მაღლ-მაღლ სცდების მოურწყაოთ მოსავალი. ამის წამალი ეს პირველი ნუმრის ახალის მოგონებულის ნეშტის მაგალითი წყლის ამოსაღებელი მოხაზულებით მიჩვენებია. მაგ რიგი ათი მაშინა. რომ ერთმანეთის სიახლოეს თუნდა უძაში, თუნდ მდენარეს წყალში რომ ჩანიღდას, ათის მაშინის ნასოსები იქნების. ორმოცი ამისი წყალი რომ ერთმანეთს შემოიყაროს კაცმან, დიდი წყალი შეიქნება და რუვით მინდვრად წაიყვანს და მორწყავს, გოლგოთი ნამუშეველს არ მოაცდების. ზოგიერთს აღაგას კარგად ისაქმებს და ზოგიერთს აღაგას წყლის სიცოცავით გერ ისაქმებს კარგადა.»

2

«მეორე საწუნელი სნეულება ესე არს: რომელსამე ადგილს წყლის უწმინდერობა და ოვზის უმრავლობა და უგემურობა წისქვილის მიზეზით შეუძლებელი. წყალი დაგუბული არიან გრებლებითა და ოვზს გზა არა აქვს, რომ დიდის მდინარიღამ შემოვიდეს; ოვზს წმინდა და წყალი უკვალს. მალორისაში კარგი წისქვილები იციან წყლისაცა და ქარისაცა, მაგრამ მუდამ ვერა ფქვენ: ქარის წისქვილი როცა ქარი არ არის, სცდების; წყალის წისქვილი წყლის დიდობაში სცდების, გოლგოთი წყლის მცრობაში სცდების და ზამთარის ყინვაში სცდების. ამისი

ჭის შემდეგ 1798 წ. 11 იანვ. მირიან მოვიდა ამ გმირის, ამ «უკანასკნელ ქართველის»; საგლოველად. ამ დროს ის უბებე იყო გენერალ-მაიორი. შემდეგ, აღბად, უკანე დაბრუნდა ოუ-სეთში. 1807 წელს მას ვხედავთ პეტერბურგში, სადაც ამ წელს მიღლო ხარისხი «დეისტვიტელი ტაინი სოკეტისა» და განიწესა მესამე სენატის განყოფილებაში, სადაც განიგე-ბოდა საქმე საქართველოსი (Бут. II. 130. 500 ყр. I, 442; 189; ყრ. 2. пп 188, 439, 193, 490). მიგნებით შეგვიძლია ვსთვათ; რომ მირიან ამ წიგნს მიღებდა 1793—1798

წამალო ეს მეორე ნუმერის ახალ მოგონილის ნეშტის. მაგალითი ხახე წისქვილისა. მაგ როგ წისქვილს არც წყლის დიდობაში ეშინიან და არც გოლვაში, წყლის სიმცირეში და არც ზამთარში ყინვისაგან. ერთს ჭარედ რომ მოდიდო სახლი ფეჩიანი დაიდგას, რომ ათი მაგისთანა მა-შინა დაუკიოს, ათი თვალი წისქვილი იქნება. თუ რომ კარგათ, ზო-მიერათ განიმართა, არაოდეს დასცდების ფქვისაგან.»

«ჩემი გონების თვალი ხედავს, ეს ჩემი მოგონილი წისქვილი თუ რომ ასე განმრავლდა, რომ იმით ქვეყანა გაძლა, რასაც ამას ქვეთ შეძლებულობას გაცხადეს, უველას შეიძლების.»

- 1) დაფქვავს საცა უნდა.
- 2) დანაყავს საცა უნდა.
- 3) გახელხავს საცა უნდა.
- 4) წყალს გასწენდს.
- 5) გრებულებს გასწავს.
- 6) ფეხს განამრავლებს და განაგემრიელებს..
- 7) წყლებში ლორქებს აცარებს საცა უნდა.
- 8) ერთს კარგ სუმას (სთემას) წყლიწადში ხაზინაში შემაცებს.
- 9) წყლისაგან დაღუპულს სახნავს, სათობს სახმარად შეიქს.
- 10) მცრისაგან ან უამისაგან რომ ქალაქი შემოცულიყოს, დიდი შემწეობას უზამს.
- 11) მხვნელისა და მოესველის კაცს ბევრს შალაოთს. დამართებს,

წლებ შეა, რადგან პოეტის წარწერილს ეტეობა, რომ იმ დროს მეუე ერებლე, რომელსაც პოეტი უწოდებს «ქართლ-კახეთის მეპატრონედ» (აწმუო დო), ცოცხალი უოფილა.

